ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო
TBILISI CITY HALL
LEPL ANIMALS MONITORING AGENCY

წერილის ნომერი: **73-01262794162**
თარიღი: **06/10/2026**

**ადრესატი:** ელენე თარგამაძე
**პირადი ნომერი:** 01017032626
**მისამართი:** თბილისი ივ.კერესელიძის ქ. N 32

ქალბატონო ელენე,

თქვენი განცხადების (N19/01262362773-73) პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო“ ხელმძღვანელობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 თებერვლის №9-11 დადგენილებით, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესს. აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, ურბანულ გარემოში ბინადარი უპატრონო და მიკედლებული ცხოველების პოპულაციების მართვა და კონტროლი, მათზე ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება, აგრეთვე ამ წესით განსაზღვრული სხვა მიზნების უზრუნველყოფა უფლებამოსილი ორგანოს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, პერსონალური მონაცემის დაფარვით გეგზავნებათ დანართის სახით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად „პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;“.

ანა გეწაძე

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო-
ადმინისტრაციული დეპარტამენტი-საორგანიზაციო
განყოფილება-მთავარი სპეციალისტი-საჯარო
ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი